ვენახეობა და ღვინის დაყენება რაჭის მაზრაში", ე. ა. დანდუროვისა; „მევენახეობა და ღვინის დაყენება ლეჩხუმის მაზრაში". ა. ა. იაკოვლევისა და „ღვინის დაყენება იმერეთში". ე. ი. ვაწაძისა.

*** ტფილისის საბჭოსაგან არჩეულმა ხმოსანთა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშავებინა პროექტი შუამდგომლობისა იმის შესახებ, რომ სახლების პატრონთ, რომლებსაც მამული პრიკაზში ჰქონდათ დაგირავებული, შეღავათი რამ მიეცეთ, დაათავა უკვე მუშაობა და თავისი მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობასაო, სწერს გაზ. „ტფ. ფურც."

*** 1-ლ მაისიდამ კავკასიის რკინის გზაზე ბილეთების ფასი უფრო ნაკლები იქნება ამ გზით მოსიარულეთათვის. ეს იაფ-ფასიანი ბილეთები შემოღებული იქმნება სადგურ ახალსენაკსა და ფოთს შუა, ტყიბულასა და ქუთაისს შუა, ტფილისსა და ბორჯომს შუა და ბაქო-სურახანს შუა. ბილეთები მიეცემათ როგორც დანიშნულ ადგილას წასასვლელად, ისე უკან დასაბრუნებლად და აბონიმენტებიც. აგრეთვე ვადაც უფრო მეტი ექნება ამ ბილეთებს, ვიდრე დღემდის ჰქონდათო, სწერს იგივე გაზეთი.

*** ს. ალი: რამდენსამე დღის წინად ჩვენის სოფლის ბოლოს, ნასიმინდარში, იპოვნეს დამრჩვალი გვამი ს. არსანიძესი. საბრალო ამ ერთის თვის წინად წასულიყო სურამში ქალამნების სასყიდლად და თან ორი ქათამი წაეყვანა. ქათმები გაეყიდნა და რადგანაც ქალამნები აქ ვერ ეყიდნა, ალისკენ წამოსულიყო ქალამნების სასყიდლად. გზაზედ ქარიშხალი ამოვარდნოდა. ალის მიდამოს რომ მოახლოვებულა, თოვლისა და ქარისაგან ვერა გაუგია-რ ა და გომისაკენ გადაუხვევია. აქ ქარს წაუქცევია და დაურჩვია.

საბრალო ს. ჯვრიდამ არის და საკმაოდ წვრილ-შვილია.

*** სად. გომი: 21 მარტს, შუადღისას აქ დაიჭირეს გავარდნილის ყაჩაღის ფუხაშვილის ამხანაგი გვარად ბოსიკაშვილი, რომელიც შარშანაც შეიპყრეს, მაგრამ ისევ გაიქცა ცხინვალის სასამართლოდამ. 21 მარტს სადგურ გომიდამ ორის ვერსტის სიშორეზე მიმავალს საქონლის მატარებელზე შეხტა ორი ოსი და გასწიეს პირდაპირ იმ ვაგონისაკენ, სადაც იჯდა რკინის გზის მოხელე ლიჰმანი, რომელსაც ზედ ათასი მანეთი ჰქონდა მუშებისათვის დასარიგებლად. ლიჰმანი მიუხვდა მათ განზრახვას, გადახტა მაშინიდამ და პალტო მიმალა ჩირგვებში; ოსები ვერ მიუხვდნენ ამ ხერხს ლიჰმანს, მივიდნენ და დაუწყეს ფულის თხოვნა. რას წაართმევდნენ, რაც არა ჰქონდა რა. აგლიჯეს მხოლოდ საათი და გასწიეს ქვემოდ. ლიჰმანმა საჩქაროდ შეატყობინა ეს გარემოება სადგურზედ მყოფს ჩაფრებს, რომელთაც შეიპყრეს მხოლოდ ბოსიკაშვილი და მეორე-კი გაექცათ.

*** დაბა ცხინვალი: 3 მარტს დაბა ცხინვალში მყოფი ოქრო-მჭედელი ლეკები დღესასწაულობდნენ თავიანთ უქმე დღეს ბაირამობას. დილიდამ დაწყობილი საღამოს ოთხსაათამდის სასმელების სმით და სიმღერით გაატარეს დრო. საღამოზედ ორს ლეკს მოუვიდათ ჩხუბი და ერთმა მეორე ისე საშინლად დასჭრა მუცელში ხანჯლით, რომ რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა. ხანჯლით დაჭრილმა დამჭრელს ბოთლით გაუტეხა სუბუქად თავი. მკვლელი შეიპყრეს.

დ. გუდაუთი, (სოხუმის ოლქი). შაბათს 16 მარტს, აქ წარმოდგენა იყო გამართული. წარმოადგინეს „წუთის საცოლე", თარგმანი ა. ნებიერიძისა და ორი მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდამ „რაც გინახავს, ველარ ნახავ". წარმოდგენიდამ შემოსულ ფულის ნახევარი დანიშნული იყო წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, ხოლო მეორე ნახევარი ადგილობრივის საზოგადო სამკითხველოს სასარგებლოდ.

*** იქიდამვე: როგორც შევიტყვეთ, დ. გუდაუთში მცხოვრებს ქართველებს განზრახვა თურმე აქვთ, სადაც ჯერ არს, ითხოვონ, რომ აქაურს ეკლესიაში დრო გამოშვებით ქართულად სრულდებოდეს წირვა-ლოცვა, რადგანაც აქაურ მცხოვრებთა უმეტესობას ქართველობა შეადგენს, რომელსაც რუსული არ ესმის. იმედია, ამ კეთილს საქმეში ადგილობრივი მღვდელიც დაგვეხმარება.

## კორესპონდენცია.

ს. ალი. ამ ერთის კვირის წინად ს. კაყაში ჩამოვიდა გორის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. არნოლდი. არნოლდს ტფილისის გუბერნატორისაგან დავალებული ჰქონდა გამოეძიებინა ალელების საჩივარი იმ უწესოების შესახებ, რომელიც ჩაიდინეს ჩაფრებმა და სოფლის „წვრილ ფეხა" მოხელეებმა შარშან შემოდგომაზედ, ფოსტის ფულის აკრეფის დროს. არნოლდმა დაიბარა რამდენიმე პირი და გამოჰკითხა მათ ყველაფერი, რაც-კი ამ საქმეს შეეხებოდა. ამათ ჩვენებიდამ არნოლდი დარწმუნდა, რომ საჩივარი სამართლიანი იყო და უკანვე დაბრუნდა. თუმცა იგი დარწმუნდა მოხელეებისაგან ჩადენილს უწესოებაზედ, მაგრამ არავითარი შედეგი ამ გამოძიებას არ მოჰყოლია, გარდა იმისა, რომ მეორე დღეს ისევ იმ კაყაბატონებმა, რომლებმაც შემოდგომაზედ დაარბიეს ხალხი, დაუარეს სოფელს და მამასახლისის და ჩაფრების ფულის ასაკრეფად ხელ-მეორედ დაარბიეს ხალხი.

გამოიტანეს ქვაბები, თუნგი, თაბახი და სხვა. ამ დარბევამ წინანდელზედ უფრო ძლიერ აალელვა საზოგადოება და იძულებულ-ჰყო, სადაც ჯერ არს, ხელ-მეორედ მიემართნა საჩივრით.

საქმე იმაშია, რომ გლეხები ვალდებულად არა სთვლიან თავს მამასახლისს ჯამაგირი აძლიონ, რადგანაც ამაზედ არც განაჩენი აქვთ დადგენილი და არც სიტყვიერად აღუთქვამთ მამასახლისის დაჯილდოვება.

ს.

## ჩემი დღიური.

### I

როგორ გამოვიყენო თავისუფალი დრო—აი რამ დამაფიქრა ამ დღეებში?! ბევრი რამ მოვისაზრე, ბევრი რამ განვიზრახე, მაგრამ არცერთმა გარდაწყვეტილებამ არ დამაკმაყოფილა. დასასრულ ერთმა შემთხვევამ ბოლო მოუღო ჩემს ყოყმანს და გამაბედვინა თავისუფალი დრო „დღიურის წერისათვის მომენდომებინა. წერაში მაინცა და მაინც გავარჯიშებული არ გახლავარ, მაგრამ იმედი მაქვს უხერხულ, დაულაგებელ წერას უკიდურეს დანაშაულად არ ჩამითვლის მკითხველი... ხშირად გამიგონია საზოგადოებაში ჩვენის ჟურნალ-გაზეთების მიმართ სამდურავი: ამა და ამ გარემოებას გვერდს უხვევენო, ამა და ამ მოვლენას ყურადღებას არ აქცევენო და სხვა. მართალი რომ ვთქვათ—ეს სამდურავი სრულიად უსაფუძვლო არ არის, მაგრამ მგონი გადაჭარბებული-კი უნდა იყოს. მართლაც, ორმა და სამმა გაზეთის მუდმივ თანამშრომელმა როგორ უნდა გაუძლოს ამდენს ამბებს ქვეყნისას?! საქართველო, რუსეთი, უცხოეთი—ყველგან უნდა ადევნოს თვალ-ყური, ყოველ დღე უნდა გადაიკითხოს მრავალი გაზეთი, წაიკითხოს და შეასწოროს მრავალი წერილი და სხვა... მე მგონი, ყოველი დაკვირვებული კაცის მოვალეობაა დრო გამოშვებით ან საგანგებო მოვლენათა შესახებ მაინც დიეხმაროს მეგაზეთეთ, ჟურნალისტებს და თავისი აზრი გამოთქვას ხოლმე. შეიძლება ეს ასეც არ იყოს, მაგრამ რადგანაც ღმერთმა თავისუფალი დრო მარგუნა და ჩემს თანამემამულეებთან ბაასის სადერღელი ამეშალა, პირვანდელს გარდაწყვეტილებას არ ვუმტყუნებ და „დღიურის" წერას ვიწყებ...

შემთხვევა, რომელიც ზევით აღვნიშნე და რომელმაც ამაღებინა კალამი ხელში, სრულიად უბრალოა: ერთი ჩემი ნათესავი—ქართველი მემამულე—ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოდამ წამლობისათვის. მისმა ბაასმა ჩვენი სოფლების მდგომარეობის შესახებ, მისმა საზოგადო სასოწარკვეთილებამ იქაურ ჭამპებისა გამო, იმდენად შემაწუხეს, იმდენად დამაღონეს, რომ ველარ მოვითმინე, ვთქვი—უნდა განვუზიარო სხვებსაც არა მარტო ჩემი ნათესავის ნალაპარაკები, არამედ საზოგადოდ რაც დამაღონებს, რაც დამაფიქრებს...

დასავლეთ საქართველოს ჭირვარამი დღეს შემოდგომისა და ზამთრისაგან დაზარალებაა, რასაკვირველია. ამ დაზარალების შესახებ ბევრი რამ დაიწერა გაზეთებში. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც არა გვაქვს ნამდვილად გათვალისწინებული, სავსებით დაფასებული ის ზიანი, რომელიც ნახა ჩვენმა ქვეყანამ. ჰკითხეთ თვითეულს თქვენს ნაცნობს—რამდენად დიდია ზარალითქო, ის უთუოდ გეტყვისთ „მეტის-მეტიაო", მაგრამ კილოზე შეატყობთ, რომ მაინცა და მაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევს თავის სიტყვებს. ყველას ჰგონია—დაიმშა მრავალი სოფელი, დიდი ზარალი ნახა ხალხმა, მაგრამ თუ იმდენად დავეხმარებით ფულით თუ ჭინახულით, რომ ზაფხულამდე როგორმე გამოიკვებავს თავს, მაშინ, საქმე გამობრუნდებაო. ასე რომ იყოს მართლა, დიდი ტირილი და ვაი-ვაგლახი არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ მაგარიც ის არის რომ „საქმე" დაზარბლება-კი არ არის, არამედ ნამდვილი დ დიდი უბედურება. დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ადგილებიდამ იწერებიან და ჩამოსულნიც გვეუბნებიან: ქვეყანა დაიქცა, ქვეყანა დაიღუპაო. ისეთი დიდი უბედურება ეწვია იქაურს სოფელს, იქაურს გლეხს, მეურნეს, რომ ფეხზე წამოდგომა საეჭვო თუ არ არის სამუდამოთ, დიდის ხნით მაინც შეუძლებელი არისო. ყველასათვის ცხადია, რომ იმ ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობა ქვიშაზედ არის ალბათ აშენებული, რომელსაც ერთი წლის ზარალი, ერთი წლის დამშევა ასე ანადგურებს, ასე მძლავრად დაჩაგრავს. ჩვენი ქვეყანა იმდენად დაცემულია ეკონომიურად, რომ გასაკვირველი არ არის, თუ სტიქიონურმა უბედურებამ ამდენად დასცა, ამდენად შეაწუხა იგი. ასე რომ, ახლანდელმა დაზარალებამ ნათლად გამოამჟღავნა ჩვენი ეკონომიური უძლურება.

შეიძლება ჩვენი სოფელი არასოდეს არ ყოფილიყოს ისეთს გაჭირვებაში, როგორც დღეს გორის მაზრა და ლიხს იქითა მხარეა. ამიტომაც მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი საზოგადოება ენერგიას, საგანგებო გულშემატკივრობას გამოიჩენდა ამგვარს დროში. ყველას გვახსოვს, რა ზნე-

---

ლიეთ ბალღს მივმართე: საიდამ მობრძანებულხართ და ვინა ბრძანდებით, მეთქი.

— მე ახალი წლის მოჩვენება ვარ, სულ ხუთი წამი არ იქნება, რაც გამოვემგზავრე: ერთი ფეხი კარდილერის ტიტიკახაზე დავკარი, მეორე ჰიმალაის მწვერვალზე, მერმე ალპებს გადმოვალაჯე, აქედამ იალბუზს და აქ შენს მიყრუებულს ოთახში, შე საბრალო ერის შვილო, შამოვიხედე ჩემი ამალითურთ. რასა გდიხარ ასე მარტო, რატომ მეგობრებსა და ამხანაგებში დროს არ ატარებ ამ ახალი წლის ღამეს. დავიჯერო, რომ წელიწადში ერთს დღეს მაინც ვერ მოახერხეთ ქართველებმა ორიოდ ტკბილი სიტყვა და ტკბილი გრძნობა ერთი მეორესათვის გაგეზიარებინათ.

— ეჰ, სადღაა ჩვენში ჭკუა-გონებაზე აგებული მეგობრობა-მეთქი... აღარ მაცალა პასუხი ამ ახირებულმა ბალღმა, ერთი შამოტრიალდა, ბურთი მოიმარჯვა და სოლისბერს ესროლა. ისეთი ბურთი შენს მტერს დაუჭერია. ორივე ხელებზე ისეთი ჭალი მოებრიალა, რომ რაც ტემზაში წყალი მიდიოდა, ყველა ზედ დაასხეს, მაგრამ ვერაფრით დააქვრეს. გაიხუხა ინგლისის პრემიერი. ახლა ფორისკენ გაისროლა, მაგრამ მან ბურთის დასაჭერად გაშვერილი ხელები წყლით სავსე სურას მოსჭიდა. სხვები-კი ისე ზარ-დაცემული შეიქმნენ, რომ ჯიბე-უბეში ხელები ჩაილაგეს და ერთი-მეორის შემდეგ კუდ-ამოძუებულნი, გაიძურწნენ, გაიპარნენ.

ლაპარაკი ველარ შევბედე. შიში შემატყო; გამამხნევა; ბურთი მოიქნია, ყაზბეგს გარდააცილა, მეც დავშოშმინდი და გაბედვით მოვახსენე: ჯერ, შე დალოცვილო, აკვანში არ ამოსულხარ და ასეთს სასწაულებსა შვრები, ამდენი ძლიერი კაცები, რომელთა ციხე სიმაგრეები, ტყვია-წამალი, ზარბაზნები მთელი დედა-მიწის ზურგს ამძიმებენ, თუ ასეთი კაცები, რომელთა მეოხებით კაცობრიობის მეოთხედი ტყვის პურად არის ქცეული და გამზადილი, თუ ასეთი კაცები რაღაც მუჭის სიმსხო ჰაერ-ელექტრონის ბურთით შეაშინე—, როცა გაიზრდები, ხომ ისეთს რამეებს გამოიგონებ, რომ მთა ბარს გაასწორებ, ყოველს კაცთა შორის უსწორ-მასწორობას გააქარწლებ, ყველას ერთს დონეზე დააყენებ და ერთი მეორის ყლაპია სადერღელსაც ალაგმავ. მჯერა რომ დიდს სასწაულებს ჩაიდენ, მჯერა შენი ყ-დ შემძლებლობა და ამიტომ გთხოვ, გადმოიხედე მოწყალების თვალით და ჩვენ ქართველთა სასიკეთოდაც რამე იფიქრე. ამას შენითაც მიხვდებოდი, რომ დიდი ხნისა იყო. მაშ ნება მიბოძე ამხელა და ამხნის კაცს ორიოდე დასარიგებელი და სავედრებელი სიტყვაც მოგახსენო:

სხვაგან, შეიძლება, ყველგან დროს შაში მოგივიდეს და კოჭი ალჩუზე დაგიჯდეს, მაგრამ, თუ ჩვენშიაც გინდა ლელო გაიტანო და იმდენი წყევა-კრულვა არ მოგეხვეს თავზე, რავდენიც შენს წინაპრებს რგებია, რავდენიც განსვენებულს მამაშენს (1895 წ.) ერგო, ეცადე რომ ქართველებს საჭიროების-და გვარად ხელი შეუწყე და ყოველს შესაფერს დროს იქით უქენ პირი, საითაც შეურცხვენლად და ერის სასარგებლოდ ფეხის გადადგმას დააპირებენ. ბევრი, ბევრი რამ სნეულება გვჭირს და ბევრი წამალიცა გვჭირია. შენ ხომ 366 დღის სიცოცხლე გაქვს და თუ კარგად ალღოს აღება შეგიძლია, თუ ჩვენს ცხოვრებას ჩაუკვირდები, ყოველს დღეს ახალ-ახალ სენს გამოსძებნი და ყოველთვის ახალ-ახალი წამლები დაგჭირდება საკურნებლად.

მაშ ეხლა მხოლოდ ერთი საშინელის სენის შესახებ მოგელაპარაკები, იმ სენის შესახებ, რომელიც ვერც ერთმა შენმა წინაპარმა ვერ მოსპო და ვერ აღმოფხვრა ჩვენი გულ-გონებიდგან. ეგ ის ჩვეულებრივი სენი გახლავს, რომ მეგობრობის გრძნობა დავკარგეთ და ძირიანად ამოვაგდეთ. (ამის შესახებ მისაყვედურედ კიდეც პირველ შეხვედრისას, თუ გახსოვს) ქართველთა საზოგადოებაში იშვიათად შეხვდები ისეთს, რომ მეორესთან ნამდვილ კეთილგონიერებაზე დამყარებული მეგობრობის კავშირი ჰქონდეს გაბმული. ერთი სკოლის მოწაფენი, ერთი დაწესებულების მოსამსახურენი, ერთი და იმავე მოძღვრების მიმდევარნი ერთისა და იმავე პროგრამმის ცხოვრებაში გამტარებელნი, ერთისა და იმავე მიზნისკენ პირ-მიმართულნიც-კი ისე მტრულისა და ურწმუნო თვალით შესცქერიან ერთმანეთს, თითქო სხვა და სხვა მოწინაღმდეგე და მებრძოლ ბანაკთაგან არიან გამოსულნიო.

და ასეთი ურთი ერთობა ერთისა და იმავე ერის წევრთა შორის ხომ გათახსირება და დაცემაა ყოველი საერო საქმისა, ხომ ფეხის მოტეხაა ყოველი იმედისა და სანეტარო მომავლისა. მოვიგონოთ ძველ წარსულ დროთა მეგობრობის ნაყოფიერება, რომელიც ქართველებმა სრულიად დაივიწყეს და რომლის წაბაძვა მათთვის უპირველესი სახსარია.

ძველ ქვეყანაში მეგობრობა პოლიტიკურ ქველობად იყო აღიარებული. სპარტაში კანონ მდებლობა პირდაპირ ავალებდა ჭკუა გონებით მოსრულებულს მამა-კაცს, რათა მას მეგობრული კავშირი გაება მოზარდ ჭაბუკთან; მას უნდა შთაებე-

ობრივი ძალა გამოიჩინა რუსეთის ინტელიგენციამ დიდის შიმშილობის დროს. ქალაქებიდამ დაიძრა მრავალი განათლებული ქალი და კაცი. მათ არ დაუტოვებიათ არცერთი ქოხი, არცერთი მიყრუებული სოფელი; ყველგან თავის თვალით განიხილეს ყოველივე და მთელს ქვეყანას მოჰფინეს სოფლის, ხალხის უბედურების ამბავი; მათის ღაღადით შეიძრა რუსეთი და უცხოეთიც და იწყო შემოწირულებათა დენა. არ დარჩენილა ისეთი სოფელი, რომ მათ არ დაეარსებინოთ კომიტეტი და სხვა-და-სხვა... ჩვენ? გამოვიჩინეთ ამის მეასედი ენერგია მაინც?—არა და არა! არცერთი ინტელიგენტი დაზარალებულ სოფელში არ წასულა, არავინ არ იკისრა შრომა—აეწერა ქვეყნის მდგომარეობა, ფიქრადაც არ მოგვსვლია სოფლებში დაგვეარსებინა კომიტეტები და სხვა. ერთის სიტყვით, ჩვენი სოფელი ამ საგანგებო უბედურების დროსაც ისევე უპატრონოდ მიგდებულია, როგორც ყოველთვის! რის ვაი-ვაგლახით დავაარსეთ ორი კომიტეტი და, თითქოს საქმე ამით დაგვირგვინებულიყოს, დავწყნარდით, ჩვეულებრივ ძილს მივეცით თავი...

ამაზედ უფრო ცხადს მაგალითს ჩვენის ზნეობრივ და საზოგადოებრივის უძლურებისას ძნელად თუ ვიპოვით კიდევ!

გიგი.

## ქუთაისის საკვირაო სკოლა.

ქუთაისის საკვირაო სკოლა ორის განყოფილებისაგან შესდგება: ქალთა და სავაჟოსაგან. საანგარიშო წელს სკოლაში 187 მოწაფე ითვლებოდა; მათ შორის ქალები იყო 103, ვაჟები 84. წლოვანობით 10—15 წლისანი შეადგენდნენ 50%, 10—20 წლისანი 30%, დანარჩენი 20—45 წლისანი. მართლ-მადიდებელნი იყვნენ—55%, ქართველი კათოლიკენი 2%, სომხები 3% და ებრაელნი 10%. უმეტეს ნაწილს მოწაფეებისას შეადგენდნენ ქართველები და ქარხნის მუშები, დანარჩენს მეწვრიმალეთა ნოქრები და მოსამსახურენი. მასწავლებლად არიან: ქ-ნი მ. ვარდოსანიძე, მ. იოსელიანი, დ. ლოლობერიძე, ა. კლდიაშვილი, მ. ბაჯოღლი, ნ. მაჰავარიანი, მ. ყაუხჩაშვილი, ს. ვარდოსანიძე, ა. ხუნჯია, რ. სიდამონიძე, ბ. სალამბეგოვი, ვ. ჯაფარიძე, ბ-ნი ი. ოცხელი, პ. სურგულაძე, ე. მიქაძე, მ. ჩოგოვაძე, მ. ჯუღელი.

ბედმა სხვა-და-სხვა გვარი ხვედრი არგუნა ამ ორ განყოფილებას. მაშინ, როდესაც საქალებო განყოფილება მოთავსებულია ქალაქის პირველ დაწყებით სკოლის სადგომში, სავაჟო განყოფილება იძულებულია ერთის წლის განმავლობაში სამჯერ გამოიცვალოს თავისი სადგომი. თუ ერთის განყოფილებისათვის გვაქვს მუდმივი შენობა, მეორესათვისაც უთუოდ საჭიროა ასეთის შენობის მოპოვება, რადგანაც ეს გარემოება ხელს უშლის სკოლის კეთილდღეობას. პირველ (ქალთა) განყოფილებაში თითქმის არავინ აკლდება წლის განმავლობაში და ძვირად ვინმე სტოვებს სკოლას, სავაჟო განყოფილებაში-კი ბინის გამოცვლას მოსდევს მოწაფეთა შეცვლაც. მაინც სწავლის წყურვილი იმდენად ძლიერია, მოწაფეების რიცხვი იმდენად მრავალია, რომ პირვანდელზედ შედარებით მათმა რაოდენობამ ერთი ოთხჯერ იმატა; გაბედვით შეგვიძლიან ვთქვათ, შეძლება რომ ხელს გვიწყობდეს, ეს რიცხვი ერთი ათჯერ მეტი იქნებოდა. მასწავლებელთა სურვილია, რომ სკოლაში მიღებული სწავლა მხოლოდ დასაწყისი იყოს მოწაფეთა განვითარებისა, რომ მათ აღეძრათ და დაუმკვიდრდეთ კითხვის ხალისი, ამიტომ სკოლას დაარსებიდამვე აქვს თავისი სამკითხველო. სანამ მოწაფეთა რიცხვი მცირედი იყო, ეს სამკითხველო ასე თუ ისე ასრულებდა თავისს დანიშნულებას, დღეს-კი სრულიად შეუძლებელია დააკმაყოფილოს მოწაფეთა მოთხოვნილება. საიდამ უნდა შევიძინოთ ახალი წიგნები, როდესაც სახელმძღვანელო და სხვა სასწავლო ნივთები ვერ შეგვიძენია საკმაოდ? აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ქუთაისის თვითმმართველობა ყოველთვის გულითადის ყურადღებით ექცევა საკვირაო სკოლის ბედ-იღბალს: როგორც ზემოთ ვსთქვით, ქალთა სკოლისათვის დაგვითმო უფასოდ შენობა, გარდა ამისა საანგარიშო წელს სკოლის სასარგებლოდ გადასდვა 150 მანეთი; ეს ფულები დაიხარჯა სკოლის ქირაში, მსახურის ჯამაგირში, სახელმძღვანელო წიგნებში და სხვა სასწავლო ნივთებში. სხვა საშუალება სკოლას არ ჰქონდა და არცა აქვს. დიდის მადლობის ღირსია აგრეთვე ქ. ეფ. ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა, რომელმაც უფასოდ დაგვითმო სახლი სავაჟო განყოფილებისათვის და ამგვარად დაგვიხსნა მეტად შევიწროებულ მდგომარეობისაგან.

W.

## უცხოეთი

—

**საბერძნეთი.** 6 აპრილს მთელი საბერძნეთი დღესასწაულობს 73 წლის იუბილეის საბერძნეთის განთავისუფლებისას.

**აბაშეთი.** გაზეთების სიტყვით, მენელიკს განუზრახავს ულტიმატუმი გაუგზავნოს იტალიის მთავრობას და გამოუცხადოს წინააღმდეგობა დონგოლის ექსპედიციაში მონაწილეობის მიღებისათვის. ამბობენ, თუ იტალია აბაშეთის პროტესტს ყურადღებას არ მიაქცევს, მენელიკი მაშინვე განაგრძობს ომს.

**ესპანია.** ესპანიაში ბევრია რესპუბლიკურის წეს-წყობილების დამყარების მომხრე. მაგრამ აქამომდე რესპუბლიკელთ არავითარი ძალა არა ჰქონდათ, რადგანაც მრავალ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. გაზეთების სიტყვით ამ ჟამად ეს ჯგუფები შეერთდნენ და შეადგინეს ერთი რესპუბლიკანური პარტია. ესპანიაში მალე უნდა მოხდეს არჩევნები. რესპუბლიკელთა შეერთებულმა პარტიამ გარდასწყვიტა ამ არჩევნებში არ მიიღოს მონაწილეობა; ჯერ-ჯერობით პარტია შეუდგება შინაგან განწყობილებას, ორგანიზაციას და თავის იდეების პროპაგანდას. ამ დღეებში პარტიამ დაბეჭდა მანიფესტი, რომელშიაც სხვათა შორის კუბის კუნძულზედაც არის ლაპარაკი. რესპუბლიკელნი ამბობენ, რომ მათის აზრით ესპანიამ კუბა არავის არ უნდა დაუთმოს, ხოლო საფუძვლიანი თვითმართველობა-კი უნდა მიანიჭოს.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— პარისში ბევრს თურმე ჰლაპარაკობენ ახალ ჟანნა დარკზე. ასე დაარქვეს ვიღაც გასათხოვარ ქალს გვარად კუედინისას, ქალი-შვილს ბრეტანის ადვოკატისას, რომელიც გულთმისანია თურმე. ორლეანის ქალწულის ჟანნა დარკის მსგავსად ეს გასათხოვარი ქალი კუედინისა ამტკიცებს, რომ მე მესმის „საიდუმლო ხმები და ხშირად ვესაუბრები მთავარ-ანგელოსს გაბრიელსაო“. ამ კუედინის ქალზე ჰლაპარაკობენ არამც თუ მდაბიო ხალხი პარისისა და ბულვარის გაზეთები, როგორც „ფიგარო“, არამედ იმისთანა დარბაისელი გაზეთიც კი, როგორც „Temps“. ამ ქალის პაწია სადგური ყოველთვის სავსეა ხალხითა. ეხლახან თანამშრომელი გაზეთის „ფიგაროსი“ შენშოლი ყოფილა იმ ქალის სანახავად და ღირს საცნობს ამბებსა სწერს იმის თაობაზე თუ-რა ლაპარაკი ჰქონია ხსენებულ ქალთან. შენშოლს უკითხავს ამ გულთმისან ქალისათვის: ეღირსება ოდესმე საწყალს საფრანგეთს ვინმე მხსნელი, თუ არაო? ქალს უპასუხნია, რომ მე ვლაპარაკობ მთავარ-ანგელოსის შთაგონებითა და ვაცხადებ, რომ „მხსნელი“ უსათუოდ მოევლინება საფრანგეთს, ხოლო იგი არ იქნება არც ბულანჟე, არც ორლეანი, არც ბონაპარტე, არამედ კაცი, რომელიც ეხლა საფრანგეთის გარედ სცხოვრებს დრომდინაო. ის კაცი არავინ იცის და მე ნება არა მაქვს დართული იგი დავასახელოვო. მერე შენშოლს, რომელსაც ეხლანდელი რადიკალთა სამინისტრო არ უყვარს, უკითხავს, რას იტყვი ამ სამინისტროსასო? „რადიკალთა დასი, უპასუხნია ამ ეხლანდელს გულთმისანს ქალს, აწუხებს საფრანგეთსა და ამიტომ დიდხანს ვერ შეირჩენს ბატონობას და უფლებასა. ამ დღეებში ეგ სამინისტრო დაეცემა. ექვსი კვირაც არ გაივლის, რომ ამის გამო განზრახული პრეზიდენტ ფორისაგან მოგზაურობა გადადებულ იქნება. მე წინასწარ ვხედავ დიდს არევ-დარევას სამზღვარ გარედაო. მალე ატყდება ომი და ომში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ერი. ევროპის რუკა შესაცვლელი გახდება. საფრანგეთი განახევრდება, ხოლო ამაზე წინ ჩვენში საშინელი რევოლიუცია მოხდება. მოვა ახალი კომმუნა, რომლის წინაშე წინანდელი ბაშვის თამაშობად ჩაითვლება. მთელი პარისი ცეცხლში იქნება და სენა სისხლით შეიღებებაო.“

კორრესპონდენტი გაზეთის „Temps“-ისაც ყოფილა ამ ქალის სანახავად და ამბობს, მე გამარკვივა ამ ქალის საუბარმა, რადგანაც ჩემის წარსულის და აწმყოს ამბები საოცარის სიმართლით ჩამომითვალაო. ამ კორრესპონდენტსაც უკითხავს—ეგვიპტის საქმის გამო ხომ ევროპის სახელმწიფოთა შორის ომი არ ასტყდებაო? „დიაღაც, უპასუხნია ქალს: ომი არ ასცდებაო. საფრანგეთი უნდა დასჯილ იქმნას, საშინელს უბედურებაში ჩავარდება, ინგლისს საშინელი ამბავი დაემართება: აუარებელი ინგლისელი გაიჟლიტება, იმათი ამპარტავანება და ქედილი შეიმუსრება, იმათი სიმდიდრე განადგურდებაო.“ (ნ. ვ.)

— კარგა ხანია ჭეშმარიტებად არის მიღებული მეცნიერებაში, რომ დედა-კაცი ორთაშუა რიცხვით უფრო დიდხანს სცოცხლობს, ვიდრე მამა-კაცი. ამერიკაში (მასსაჩუზეტის შტატში) შეუდგენიათ სტატისტიკა იმ ადამიანთა შესახებ, რომელთაც დიდ სიბერემდე მიუხწევიათ და გამოდის, რომ 203 ადამიან შორის, რომელთაც ას წლამდე და მეტამდეც მიუხწევიათ და ამ ათს წელიწადში (1881—1890 წ.) დახოცილან, 153 დედა-კაცი ყოფილა და მარტო 50 მამა-კაცი. 1885 წ. აღწერითა რიცხვი დედა-კაცთა, რომელთაც ოთხმოც წლამდე მიუხწევიათ, ერთი-ორად მეტი ყოფილა, ვიდრე რიცხვი ამავე ხნის მამა-კაცთა. მკურნალნი და მეცნიერნი ამის გამო კითხულობენ: რისაგან უნდა იყოს, რომ დედა-კაცი უფრო დიდხანს სცოცხლობს, ვიდრე მამა-კაციო. პასუხად ამისა ამბობენ, ადამიანის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მამა-კაცი უფრო ბევრს განსაცდელშია და ბევრი ხიფათი თანასდევს იმისთანა, რომ ადრე და მალე უსპობს სიცოცხლესაო, დიდს ფიქრსა და ზრუნვაშია, რომ ლუკმა-პური იშოვოს, თვითონ თავისი თავი და ცოლშვილი გამოჰკვებოსო და ყოველივე ეს მამა-კაცს ორთაშუა ხანგრძლიობას სიცოცხლისას უმოკლებსო. მაგალითებრ, ფათერაკად სიკვდილი ერთი სამად უფრო ხშირია მამა-კაცთა შორის, ვიდრე დედა-კაცთა, აგრედვე თავისის თავის-კვლა სწორედ ერთი სამად მეტია მამა-კაცთა შორისო, ვიდრე დედა-კაცთაო. (ნ. ვ.)

## ბიბლიოგრაფია.

—

„მოამბე“ № II; „ჯეჯილი“ № III.

ჩვენდა სამწუხაროდ ეს ნომრები „მოამბისა“ და „ჯეჯილისა“ მოკლებულნი არიან ინტერესს. სიტყვაკაზმულს მწერლობაში დათავებულს მოთხრობათა შორის სუსტია ბ. არბოელის მოთხრობა და სუსტზედ უსუსტესი ^ბ. თ—ლისა. „სამ-ფეხა ამირანას“ არაკი მეტად უცნაურია და არა ჩვეულებრივი, ამიტომაც ჯეროვანს შთაბეჭდილებას ვერ ჰბადებს. მართალია, უცნაურობა თავის დღე-

---

რა საზოგადოების მომავალი წევრისათვის სულდი მოქალაქებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მას უნდა აეხსნა და გაერკვია ახალ გაზდისათვის აწინდელი და მომავალი დრო-ჟამის ლოღიკა, უნდა ჩაენერგა მისს გულში მომავალი იმედი, სანეტარო მერმისი. სამშობლოსა და მამულის მტერთან ბრძოლის დროს ასე დამოძღვრილი მეგობრები ერთი მეორეს მხარში უდგნენ, ერთი მეორის ფარ-ხმალნი იყვნენ. ჩაიხედეთ, ჩაიხედეთ ისტორიაში და იქ ამოიკითხავთ, როგორ იქცეოდნენ სოკრატი და ალკვიადი პოტიდეის ომის დროს, იქვე შეხვდებით პელოპიდის და ეპომინონდის მეგობრობის ამბავს და დარწმუნდებით, რა შესძლებია ჭეშმარიტს მეგობრობას: ამ დიდებულმა მეგობრებმა შეერთებულის ძალით და მოღვაწეობით განადიდეს თვისი მამული, სამშობლო. პოეზიის და პოლიტიკის ხელოვნება ყოველთვის განსაკუთრებული აღტაცებით ადიდებდა მეგობრობის კავშირს: აქილევსის და პატროკლის, ორესტისა და პილადეს მეგობრობის ამბავი დიდს ტემას შეადგენდა პოეზიისა და სხვა დარგის მწერლობისას. თვით ალექსანდრე მაკედონელი ელლინად მანამდე არა სთვლიდა თავის თავს, ვიდრე ეფესტიონს არ დაუმეგობრდა. მეგობრობის კავშირი გიმნასტიის სავარჯიშო მოედანზე გამოინასკვებოდა, მაგრამ იგი არა თუ სუსტდებოდა და წყდებოდა, როცა ცხოვრებაში გამოდიოდენ ჭაბუკობაში დამეგობრებულნი, პირ იქით უფრო და უფრო მტკიცდებოდა, ღონიერდებოდა პოლიტიკურსა და მოქალაქებრივ ცხოვრებაში, და მერმე მეცნიერული შრომისა და საფილოსოფოსო სკოლათა საფუძვლად იდგმებოდა. პითაგორის სწავლის ამყოლთა და მიმდევართა მეგობრობის კავშირი აერთებდა, სოკრატის მოწაფეები მეგობრობის ჯაჭვით იყვნენ შეკრულნი თავისს საყვარელ მოძღვართან. მეგობრობას ადიდებდნენ და აღტაცებით იხსენიებდნენ არა მარტო პოეტები და მხატვრები, არამედ თვით ფილოსოფოსნი მთელს ტრაქტატებსა სწერდნენ ამის შესახებ. არისტოტელიცკი, ეს ცივი გულისა და რკინის ლოღიკიანი თავი, აღტაცებით და პოეტური აღმა-ფრენით მსჯელობს მეგობრობის შესახებ.

ძველს დროში, ხომ მოგეხსენებათ, ყოველი ბიჯი მოქალაქისა სახელმწიფო კანონს ემორჩილებოდა და ასეთი გავლენა კანონისა ურთიერთიობას ზნეობითი სიცხოველეს და სითბოს უკარგავდა. აი, ამ ნაკლის გასასწორებლად იყო საჭირო მეგობრობა. მეგობარი უნდა ყოფილიყო მეგობრის თვალთა წინაშე წარმომდგარი, ვითარცა განხორციელებული ზნეობრივი იდეალი, ყოველს ქველობაში წამქეზებელი, გამამხნევებელი და ფრთის შემსხმელი.

ქრისტიანობას ხომ თან დაჰყვა მაცხოვრის პირველ მოწაფეთა მტკიცე სულიერი კავშირი მეგობრობისა, კავშირი, რომელიც შემდეგში ქრისტიანობის მქადაგებელთა სიყვარულად და ძმობად შესცვალეს და სხვანი... და სხვანი... შევჩერდეთ აქ და ვიკითხოთ: რა ნაყოფი მოჰქონდა იმ ერისა და ქვეყნისათვის მამულის შვილთა მეგობრობას, სადაც ჭეშმარიტი მეგობრები მოღვაწეობდნენ? ვინ გაზომავს ამ ნაყოფს! ვის შეუძლია მოკლე სიტყვით მისი აღწერა? ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ რამე კაცობრიობის საკეთილდღეოდ გაკეთებულა უხსოვარის დროიდამ დღემდე, ყველაფერს სათავეში ჭეშმარიტ მოღვაწეთა შორის თანაგრძნობა და მეგობრობა სდებია.

ქვეყნისა და ერის სასარგებლოდ მოღვაწეთა მეგობრობა თუ კაისადმი წამქეზებელი და საზოგადო საქმის ღონის მიმცემი, გამმაგრებელი ძალა ყოფილა ოდესმე,—ჩვენთვის ხომ ასეთი ძალა სანთლით საძებარია, და სანთლით საძებარია იმიტომ, რომ ჩვენში ყოველი საერო საქმე ახალი დასაწყებია და, რაც დაწყებულია, მოღვაწეთა ერთი მეორესთან კინკლაობის გამო უფრო იხლართება და სუსტდება; კიდევ ვიმეორებ: ჩვენში მოღვაწეთა შორის მეგობრობის დამყარება და გაძლიერება ერთი უპირველესი გამოცანაა ინტელიგენციისა და ახალი გაზდობისათვის ყველაზე ადრე გადასაჭრელი, აი, ჩემო ახალო წელიწადო, თითქმის მთელი ლექციის წაკითხვა დამჭირდა მეგობრობის შესახებ... რას ლუპავს მეგობრობის ძირთაგან ამოგდება და ამოფხვრა ჩვენში, ამის შესახებ მერმე გვექმნება საუბარი; იქიდამ უფრო ცხადათ წარმოგვიდგება, რავდენად უსაჭიროესია ჩვენთვის მეგობრობის ურთიერთშორის განმტკიცება. ამ გრძელი სიტყვის შემდეგ დიდი პირობა მომცა ახალმა წელმა, რომ იგი ეცდება ეს სენი მოგვაცილოს. მაგრამ ვაი, რომ ჯერ მოტყუებული ვრჩები: პირიქით ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრებაში რაოდენიმე ალაგს მეგობრობის ნაცვლად მტრობამ იჩინა თავი.. სად, და როგორ, —ამაზე შემდეგისათვის გადავდოთ საუბარი, რადგანაც, შესაძლებელია, ამ საუბარში ბრწყინვალე და ღვთივ-განბრძნობილი იმერეთის ეპისკოპოსის—გაბრიელის სახელიც გამოერიოს და, ჯერ, ვიდრე განსვენებულისათვის ცრემლი არ შეგვშრობია, გულდამშვიდებით ასეთს საგანზე ლაპარაკი არ გვეხერხება.

კუდიანეთელი.

...ში არ უნდა უკიჟინოს მწერალს კაცმა, მხოლოდ ერთს შემთხვევაში, თუ ამ უცნაურობის მიზეზი კაცია, კაცის სულიერი მხარე. ისეთს ვერაფერს მოიგონებს თვით უდიადესი ფანტაზიის მქონე მწერალი, რომ ადამიანს არ შეეძლოს, ადამიანის ცხოვრებაში არ შეგვხვდეს. მაგრამ როცა ბუნების მოვლენათა უცნაურობას გვიხატავს მწერალი და რაიმეს ისეთს გვაუწყებს, რომელიც ცხოვრების შეუცვლელის კანონების წინააღმდეგია, სიამოვნების მაგიერ უკმაყოფილოდ გვტოვებს. სწორედ ასეთი უცნაური მოვლენა აუღია თავისის მოთხრობის შინაარსად ბ. არბოელს. დამთვრალ კაცს მინდორში ჩასძინებია, შემოხვევია მგლები და მისს ძაღლს მოუგერებია და გადაურჩენია სიკვდილისაგან პატრონი. შეიძლება ასეთი რამ კიდევაც მომხდარიყოს, მაგრამ ისეთი არა ჩვეულებრივია და დაუჯერებელი, რომ არა ღირდა იმისი მოთხრობის არაკად აღება.

რაიცა შეეხება ბ. თ—ლის ამბავს, ეჭვი არ არის, ავტორზედ ამის დაწერის დროს გავლენა ჰქონია შარშანდელს წყალ-დიდობის ამბავს. ასეთი შემთხვევები ხშირია ლიტერატურის ისტორიაში. ხშირად მწერლებზე დიდი გავლენა აქვთ ამა თუ იმ ბუნების ამაოხრებელ მოვლენას და ეს გავლენაა კიდეც მიზეზი, რომ დაუწერიათ, რაიმე დიდებული ქმნილება. ვოლტერმაც ხომ ერთ-ერთი საუკეთესო თავისი ლექსი „ლისაბონის მიწის-ძვრის გამო" 1755 წ. პორტუგალიაში მომხდარ მიწის-ძვრის შემდეგ დასწერა. ეს ლექსი მისს საუკეთესო ნაწარმოებათ ითვლება და შესანიშნავია თავისის ლექსის ძლიერებით და ღრმა ფილოსოფიურის აზრებით. საუბედუროთ ბ. თ—ლი ძალიან შორს ჩამორჩა ვოლტერს და მისი ამბავი უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზედ, ვინემ რომელიც გინდათ კორესპონდენცია ადგილობრივის გაზეთებისა.

აღსანიშნავია წერილი ბ. კ. ბ—ძისა „სარწმუნოება, ზნეობა და მეცნიერება", სასურველია ასეთი წერილები ხშირად იბეჭდებოდეს „მოამბეში, რადგან იგი საინტერესოა ყოველ ქართველ მკითხველისათვის, ვისაც ცოტა არის მაინც გაეგება რამე. მართალია ჩვენი «შეგნებული» ქართველები არ კადრულობენ ამგვარების კითხვას, მაგას ხომ უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებშიაც წავიკითხავთო, მაგრამ მაგრე რომ ვსთქვათ, ან სულ რაღად გვინდა ქართული ენა? ჩვენი ჟურნალი-კი მადლობის ღირსი იქნება, თუ ჩვენს ინტელიგენტებს პირდაპირ მიაწოდებს თავისსავე ენაზედ მას, რის წაკითხვაც მხოლოდ უცხო ენის შემწეობით შეუძლიანთ.

დიდად საყურადღებოა წერილი დეკ. კონჩუაშვილისა ქართული „დაბადების" შესახებ. ავტორს დიდის ყურადღებით გადაუთვალიერებია ჩვენი „დაბადება" და განსაკუთრებით მოსეს წიგნები; შეუდარებია იგი სლავურს, რუსულს, ფრანგულს, გერმანულსა და ლათინურს დაბადებასთან და მრავალი შეცდომები უპოვნია. შეცდომების გასწორება ითხოვს პატივცემული დეკანოზი არ უთავებია და ათონის ქართული დაბადებისათვის მიუმართავს ყოველთვის, როცა გასწორება დასჭირებია. ათონის დაბადების ავტორიტეტს მეტად მაღლად აყენებს დეკ. კონჩუაშვილი და საჭიროდ სთვლის ხელახალი დაბადების დაბეჭდვას, რადგანაც ეხლა რომ დაბადებაა დასტამბული, იგიო, ამბობს ავტორი, რუსულად რომ ყოფილიყო დაბეჭდილი ცეცხლში დასწვამდნენ ერთიანად. საუბედუროდ როგორც ჰგავს ჩვენი დაბადების დაბეჭდვა და გადათვალიერება ისეთის კომისიისათვის მიუნდვიათ, რომელიც პირადი ინტერესებით უფრო ყოფილა გატაცებული, და ამით-კი საზოგადო საქმე იღუპება. სასურველია მალე მოეღოს ბოლო ამ საქმეს, დაინიშნოს ისეთი კომისია, როგორც თხოულობს დეკ. კონჩუაშვილი და ათონის დაბადების შედარებით დაიბეჭდოს ახალი.

ამ ნომერში დამთავრებულია ბ. ჭარაიას მეტად საინტერესო წერილი „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან." ავტორი ასე ამთავრებს თავის საბუთიან გამოკვლევას: „ვგონებთ, უფლება გვქონდეს დავასკვნათ, რომ ქართულ გვარ ენებში ყველაზე უფრო დაახლოვებულია საკუთრივ ქართულთან მეგრული, რომელიც, მაშასადამე, სხვებზე უფრო გვიან უნდა იყოს გამონაყოფი საერთო ქართულისაგან. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად გასაგებია ქართული მეგრელისათვის, ამაზედ უნდა ითქვას, რომ საკმარისია რამდენიმე საათი და დღე, მეგრელმა ყურთა სმენა მიაჩვიოს ქართულსა იმდენად, რამე იშვიათი აზრი გამოეპაროს ხოლმე. და მეორეს მხრით მეგრელები რამე საიდუმლოს გამოსათქმელად ორ-სამ წინადადებას ვერ ვამბობთ მეგრულად გადამბით ქართულის მცოდნე პირის წინაშე, რადგან ვიცით, რომ ჩვენი კილო ჩვენვე გაგვცემს".

ბ. გრ. ყიფშიძე სალიტერატურო მიმოხილვაში ისევ ძმათა რაზიკაშვილების ლიტერატურულს მოღვაწეობას არჩევს. ხოლო რაიცა შეეხება ავტორის აზრს საზოგადოდ მწერლობაზედ, რომ იგი ვერ გადასწყვეტს ვერავითარს საგანს ცხოვრებისას და ისიც მწვავს საგანს, ამაზედ ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. რამდენადაც გავიგეთ ბ. ყიფშიძე იმ მოძღვრების მოსარჩლეა, რომელიც აღიარებს „წმინდა ხელოვნებასა" და ,,ხელოვნებას ხელოვნებისათვის''. ეს აზრი ავტორისა უფრო ნათლად სჩანს იმ წერილში, რომელიც ,,ნოვ. ობოზ.''-ში დაბეჭდა. ძალიან საინტერესოა ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ რასაკვირველია არა ბიბლიოგრაფიულს წერილში.

—

ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურა კოჭლობს და კოჭლობს. ვერაფერმა გვიშველა, ვერც რედაქტორის მუყაითობამ, ვერც რედაქციის ახალ წევრთა მოპოებამ. არა ერთხელ თქმულა, რომ საყმაწვილოდ დაწერილი რამე ისეთი უნდა იყოს, რომ დიდსაც (იამოვნებით წაეკითხებოდეს. ამისთვის-კი მწერლის ნიჭია საჭირო. წაიკითხეთ „საყმაწვილო ზღაპრში" ბ. ო. წერეთლისა, პატარა ამბები ბ. ვაჟა-ფშაველასი და ნახავთ, რა დიდის სიამოვნებით წაიკითხავს იმას ყმაწვილი-კი არა, დიდიც. პატარაცა და დიდიც ბევრს ჰპოებს იქ თავისი ესტეტიურის გრძნობების დამაკმაყოფილებელს, თუმც შეიძლება დიდმა სხვანაირადაც გაიგოს. მეორე, ჩვენის აზრით, საჭიროა ბავშს აზრიანი რამე მივაწოდოთ, და ისეთი, რომ მარტივად იყოს შიგ აზრი გამოთქმული. საუბედუროდ ვერცერთს ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ამ ნომერში დასტამბული ვერც ლექსი და ვერც ამბები. ერთად-ერთი სასიამოვნო წასაკითხავი, ისიც ბავშთათვის. ,,პეპლის თავ-გადასავალია'' და არა-უშავს-რა „ჩვენი კაკლის ხესა'' და ,,მეფეს და მათხოვარს''.

## თეატრის მატიანე.

—

რუსეთელმა არტისტთა ამხანაგობამ 28-ს იბსენის დრამა წარმოადგინა, 29-ს გერმანიის გამოჩენილი დრამატიული მწერლის ზუდერმანის დრამა „სამშობლოში". ეს პიესა ქართულადაც წარმოუდგენიათ და ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის მისი შინაარსი. იგივ პროტესტი საზოგადოებისა და ოჯახის სასტიკი, ულმობელი მოთხოვნილებების წინააღმდეგ. ქალიშვილს მამა სახლიდამ აგდებს, რადგან მამის დესპოტიურს ხასიათს ვერ ემორჩილება. ქალი მარტოდ-მარტო ცხოვრებას შეუდგება, ცხოვრებაში ფეხს წამოკრავს. როცა სახლში დაბრუნდება მოსვენებას აღარ აძლევენ ამ ფეხის წამოკვრისათვის, სიცოცხლეს უშხამავენ და ბოლოს ისეთს რამესაც მოსთხოვენ, რომლის ასრულება არ შეუძლია (შვილი მიატოვოს და გაჰყვეს იმ ვაჟბატონს, რომელმაც დაღუპა მისი სიყმაწვილე). როგორც იბსენის, ისე ზუდერმანის დრამაში ერთია საერთო, ეს პირადობის აღშფოთება, პირადობისაგან თავისი უფლებების დაცვა საზოგადოების წინაშე. გასაოცარია ერთიც, რომ როგორც იბსენის, ისე ზუდერმანის დრამაში დაცულია კლასიკური კანონები დრამისა, დროისა და ადგილის იგივეობა. მოქმედება სწარმოებს ერთსა და იმავე ოთახში, ერთსა და იმავე დროს 24 თუ 28 საათის განმავლობაში. ეს ადგილისა და დროის იგივეობა ყოველივე გარეგან ეფექტებს აშორებს დრამას და მთელს ძალას დრამატიული მომენტისას, მხოლოდ მოქმედებითა სახავს. იბსენის კლასსიციზმი იქნამდის მიდის, რომ მომქმედ პირთა რაოდენობაც სულ მცირე ჰყავს. მაგრამ მისთვის, რომ ამ დრამებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებლებზედ, საჭიროა კარგი აღმსრულებელნი. უნდა გითხრათ ზუდერმანის დრამა 29-ს წარმოადგინეს მეტად სუსტად. ქ-ნი ლიუბარსკისა სრულიად არა ჰგავდა ცხოვრებისაგან დატანჯულს, სულით მაღალს არსებას, არამედ გაფუჭებულს, გაქსუებულს კოკეტკას უფრო მიაგვანდა. ყვირილი და ძალზედ ქშენა, თვალების ბრიალი, ყოველივე ეს მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზედ. ბ. ლიოვენიკოვიცი (შვილის როლში) ძალზედ ყვიროდა და ფეხებს აბრაგუნებდა, ასე, რომ როცა უკანასკნელს მოქმედებაში წვეთი დაეცა და მოჰკვდა, ღმერთს მადლობა შევსწირეთ. არა მგონია ავტორს ასეთი ტიპი ქონებოდეს სახეში. ძველ პრინციპების თაყვანისმცემელი, გერმანელი, ოჯახის დესპოტი—პატრონი, კიდევ არ ნიშნავს გიჟსა და სულით ავადმყოფს, მერე ისე ძლიერ ყვირილი მეტად გაწუხებთ, და ყოველ ესტეტიურ გრძნობას გიკარგავთ. სხვებზედაც ის უნდა ვსთქვათ, რომ ძლიერ სუსტი იყვნენ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

მოწყალეო ხელმწიფევ
ბატონო რედაქტორო!

ამასთანავე ვგზავნით ათ მანეთს და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" და გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში" შემდეგი შენიშვნით:

იმის მაგივრათ, რომ ყველა ჩემს პატივცემულთ ნაცნობებს და ნათესავებს პირადათ მიულოცო ქრისტეს აღდგომა, ვგზავნი „ივერიის" რედაქციაში „წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოთ ათ მანეთს. ჩემის აზრით, ყოველი ქართველი ასე რომ მოიქცეოდეს—უფრო სასარგებლო იქნება.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი ს. ქ. ჯაყელი.

ოდესა.

—

მოწყალეო ხელმწიფევ
ბ-ნო რედაქტორო!

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები—სომხები ამასთანავე გიგზავნიან ორმოც მანათს და გთხოვენ მიაღოთ მათი შეძლებისდაგვარი წვლილი ქუთაისის გუბერნიის დაზარალებულ გლეხთა შესაწევნად.

სტ. ტატიშვილი.

მოსკოვი, 21 მარტი, 1896 წ.

## „ივერიის" დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 მარტი. *)

**პეტერბურგი.** 29 მარტს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა ახალი ელჩი ინგლისისა—ოკონორი საელჩოს წევრებთან ერთად.

**ფოთი.** 27 მარტს ღამით წყლის მოდიდება შეჩერდა; 28 მარტს წყალმა იკლო; თითქმის ქალაქის ნახევარში წყალია და მიმოსვლა ნავებით არის.

**პარიზი.** ფიქრობენ, რომ გერმანიის კანცლერის მოგზაურობას პარიზში საპოლიტიკო მნიშვნელობა აქვს. ამბობენ, გერმანია დარწმუნდაო, რომ დონგოლის ექსპედიცია არავითარს სარგებლობას არ მოუტანს იტალიას და ამიტომ მთავრობას აზრად აქვს საფრანგეთ', და რუსეთს მიემხროს იმგვარადვე, როგორც ჩინეთ-იაპონიის საქმეში. არ იციან, ჰოჰენლოე იყო თუ არა ბურჟუასთან, მაგრამ ფიქრობენ, კანცლერმა გრაფ მიუნსტერის შემწეობით თავისი აზრი შეატყობინა ბურჟუას.

**კონსტანტინოპოლი.** 28 მარტს მთავარი ბულგარიისა დაესწრო გერბული ეჯრის სადღესასწაულო საუზმეს. მთავარის გამგზავრება სამშაბათამდის გადიდვა. სულთანმა ორი არაბული ცხენი აჩუქა მთავარს.

**ლონდონი.** „დაილი ნიუსი" ამბობს, რომ ალექსანდრიაში ხელახლავ გაჩნდა ხოლერა.

**ქაირი.** ეგვიპტის სავალო კასსის კომისიის წევრები ორშაბათისათვის დაიბარა საერთაშორისო სასამართლომ.

**სუაკიმი** ოსმან დიგმა ერკოვიტში თავს დაესხა ინგლისელების მომხრე არაბებს, მაგრამ უკუქცეულ იქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 29 მარტი.

| | მყიდველები. | გამყიდველი. | გარიგება. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | 7,60 | — „ | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 217 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100⅛ | — „ | — „ |
| 4% იმავე ბანკისა . | — „ | 97¾ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — „ | — „ |


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
ახალი წიგნი
მოწაფის დღიური
თხზულება
ედმონდ დე-ამიჩისა.
ნათარგმნი ი. ცისკარაშვილის მიერ.
გამოცემული
ნინო ცისკარაშვილისაგან.
წიგნი ღირს ოთხ აბაზად და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

«სიჭაბუკის ცოდვა»

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ-რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული
დ-რ გ—ლის მიერ.
ფასი ერთი მანეთი

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან, ლეიპციგს. Otto Asperger, Leipzig (საქსონიას). უცხოქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. 31—1—3

ქალი, რომელმაც იცის, სხვათა შორის, ქართული, ბერძნული, თათრული და საკმაოდ რუსული ენაც, დგება მოსამსახურედ უმაწვილების მომვლელად. ადრესი მისი — ჩუღურეთი, გორხარის ქუჩაზედ, № 32, იკითხეთ ... ნაგაშიძეს. (3—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 30-го Марта 1896 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.